



მე-14 განყოფილება  
ინვესტიციები მეკავშირე  
საწარმოებში

# განსახილველი საკითხები

- მეკავშირე საწარმოს განმარტება
- შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
- განმარტებითი შენიშვნები
- შედარება სრულ ფასს-თან

# მეკავშირე საწარმოს განმარტება

- მეკავშირე საწარმო - საწარმო რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.
- მნიშვნელოვანი გავლენა - ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას.
- თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს).

# მეკავშირე საწარმოს განმარტება

მნიშვნელოვანი გავლენის არსებობა, როგორც წესი, დასტურდება ერთი ან რამდენიმე შემდეგი ფაქტით:

- ა) წარმომადგენლის ყოლა ინვესტირებული საწარმოს დირექტორთა საბჭოში ან სხვა ანალოგიურ მმართველობით ორგანოში;
- ბ) მონაწილეობის მიღება პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, დივიდენდებისა და სხვა განაწილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში;
- გ) საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის განხორციელებული არსებითი ოპერაციებით;
- დ) მმართველი პერსონალის ურთიერთგაცვლით; ან
- ე) მნიშვნელოვანი ტექნიკური ინფორმაციის მოწოდებით

# შეფასება – სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ყველა ინვესტიცია უნდა აღრიცხოს შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- თვითღირებულების მოდელი (თუმცა, თუ არსებობს ამ ინვესტიციის საჯაროკოტირებული ფასი, გამოიყენება რეალური ღირებულების მოდელი)
- წილობრივი მეთოდი
- რეალური ღირებულების მოდელი (თუმცა, იმ ინვესტიციების შესაფასებლად, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, გამოიყენება თვითღირებულების მოდელი).

## თვითღირებულების მოდელი

ინვესტორი აფასებს ინვესტიციას მეკავშირე საწარმოებში დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით:

- გაუფასურების ტესტირება უნდა შესრულდეს 27-ე განყოფილების - „აქტივების გაუფასურება“ შესაბამისად
- მიღებული შემოსულობა - მოგების განაწილება უნდა აღიარდეს, როგორც შემოსავალი იმის მიუხედავად, ეს განაწილება მიღებულია გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე, თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ.

## რეალური ღირებულების მოდელი

- თავდაპირველი აღიარება: ინვესტორი აფასებს ინვესტიციას მეკავშირე საწარმოში გარიგების ფასით:
  - გარიგების ფასი არ შეიცავს გარიგების დანახარჯებს
- შემდგომ პერიოდებში (ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის) ინვესტიცია უნდა შეფასდეს მისი რეალური ღირებულებით:
  - გამოიყენეთ პუნქტების 11.27–11.32 მითითებები
  - რეალური ღირებულების ცვლილება უნდა აღიარდეს მოგებაში არ ზარალში
- გამოიყენეთ თვითღირებულების მოდელი იმ ინვესტიციებისთვის, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასებაც შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

**მაგ 1(9).** 20X1 წლის 1 იანვარს საწარმო A-მ 100,000ფე-დ შეიძინა ჩვეულებრივი აქციების 30%, რომელსაც გააჩნია ხმის უფლებები საწარმო B-ს აქციონერების საერთო კრებაზე. 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, საწარმო B-მ აღიარა 400,000ფე-ის ოდენობის მოგება.

20X1 წლის 30 იანვარს, საწარმო B-მ გამოაცხადა და გადაიხადა 150,000ფე-ის ოდენობის დივიდენდები. 20X1 წლის 31 დეკემბერს საწარმო A აფასებს, რომ საწარმო B-ს ინვესტიციის რეალური ღირებულება 425,000ფე-ია. თუმცა, საწარმო B-ს კოტირებული ფასი არ ქვეყნდება.

**როგორ აისახება ინვესტიცია თვითღირებულების და რეალური ღირებულების მოდელის გამოყენებით?**



# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

13

**მაგ 1(9).** (გაგრძელება)

**თვითღირებულების მოდელი**

20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწარმო A-მ უნდა აღიაროს/წარადგინოს:

მოგებაში ან ზარალში:

- დივიდენდის შემოსავალი 45,000ფე-ის ოდენობით (30% × 150,000ფე საწარმო B-ს მიერ გამოცხადებული დივიდენდი).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- თავისი ინვესტიციები საწარმო B-ში (მეკავშირე საწარმო) 300,000ფე-ის ოდენობით (თვითღირებულება).
- ასევე უნდა განიხილოს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი ინვესტიციების გაუფასურების შესახებ და თუ არსებობს, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი 27-ე გაყოფილების მიხედვით.

დავუშვათ, რომ გაყიდვის დანახარჯი უდრის ნულს, ასეთ შემთხვევაში არ იარსებებს გაუფასურების ზარალი, რადგან ინვესტიციის რეალური ღირებულება (425,000ფე) აღემატება საბალანსო ღირებულებას (300,000ფე).

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

მაგ 1(9). (გაგრძელება)

## რეალური ღირებულების მოდელი

20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწარმო A-მ უნდა აღიაროს/წარადგინოს:

მოგებაში ან ზარალში:

- დივიდენდის შემოსავალი 45,000ფე-ის ოდენობით ( $30\% \times 150,000$ ფე საწარმო B-ს მიერ გამოცხადებული დივიდენდი);
- საწარმო B-ში ინვესტიციების რეალური ღირებულების ზრდა 125,000ფე-ის ოდენობით (425,000ფე 20X1 წლის 31 დეკემბრის რეალურ ღირებულებას გამოკლებული 300,000ფე 20X1 წლის 1 იანვრის საბალანსო ღირებულება).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- თავისი ინვესტიცია საწარმო B-ში (მეკავშირე საწარმო) წარადგინოს 425,000ფე-ის ოდენობის რეალური ღირებულებით.

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

**მაგ 2(11).** ფაქტები იგივეა, რაც 1-ელ მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, საწარმო B-სთვის გამოქვეყნებული კოტირებული ფასი არის 425,000ფე.

## თვითღირებულების მოდელი

20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწარმო A-მ უნდა აღიაროს/წარადგინოს:

მოგებაში ან ზარალში:

- დივიდენდის შემოსავალი 45,000ფე-ის ოდენობით ( $30\% \times 150,000$ ფე საწარმო B-ს მიერ გამოცხადებული დივიდენდი);
- საწარმო B-ში ინვესტიციების რეალური ღირებულების ზრდა 125,000ფე-ის ოდენობით (425,000ფე 20X1 წლის 31 დეკემბრის რეალურ ღირებულებას გამოკლებული 300,000ფე 20X1 წლის 1 იანვრის საბალანსო ღირებულება).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- თავისი ინვესტიცია საწარმო B-ში (მეკავშირე საწარმო) წარადგინოს 425,000ფე-ის ოდენობის რეალური ღირებულებით.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმო A-მ აირჩია თვითღირებულების მოდელი, საწარმო B-ში ინვესტიციების აღსარიცხად ის იყენებს რეალური ღირებულების მოდელს, რადგან არსებობს საწარმო B-ს გამოქვეყნებული კოტირებული ფასი.

## წილობრივი მეთოდი

- ინვესტიციის თავდაპირველი აღიარება: ინვესტორი აფასებს ინვესტიციას მეკავშირე საწარმოებში გარიგების ფასით და მასზე დამატებული გარიგების დანახარჯებით.
- შემდგომში საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რათა ასახოს:
  - ინვესტორის წილი მოგება ან ზარალში და მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლებში
  - განაწილებები და ინვესტიციის საბალანსო ღირებულების სხვა კორექტირებები.

წილობრივი მეთოდი - რთული საკითხები

- პოტენციური ხმის უფლება
- წარმოსახვითი გუდვილი
- გაუფასურება
- ინვესტორის გარიგებები მეკავშირე საწარმოებთან
- მეკავშირე საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების თარიღი
- მეკავშირე საწარმოების სააღრიცხვო პოლიტიკა
- ზარალის მეთობა ინვესტიციაზე.

- ინვესტორმა წილობრივი მეთოდის გამოყენება უნდა შეაჩეროს, როდესაც შეწყდება მნიშვნელოვანი გავლენა:
  - თუ მეკავშირე საწარმო გახდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა: უნდა მოხდეს ადრინდელი წილის გადაფასება მის რეალურ ღირებულებამდე და მოგებაში ან ზარალში აღიარდეს ამ შეფასების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი
  - თუ დაიკარგა მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტიციის მთლიანად ან ნაწილობრივი გასხვისების შედეგად: უნდა შეწყდეს ამ მეკავშირე საწარმოს აღიარება და მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს სხვაობა:
    - (i) მიღებულ შემოსულობას + ნარჩენი წილის რეალურ ღირებულებასა (ე.ი. გადაფასება) და
    - (ii) საბალანსო ღირებულებას შორის, როცა იკარგება მნიშვნელოვანი გავლენა
    - (iii) დარჩენილი წილი კი აღრიცხოს მე-11 და მე-12 განყოფილების მიხედვით
  - თუ მნიშვნელოვანი გავლენა დაიკარგა ინვესტიციის ნაწილის გაყიდვის გარეშე, ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ამ თარიღისთვის უნდა მიიჩნეოდეს, როგორც ახალი თვითღირებულება მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით (ე.ი. არ უნდა გადაფასდეს)

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

**მაგ 3(9).** 20X1 წლის 1 იანვარს საწარმო A-მ 100,000ფე-დ შეიძინა ჩვეულებრივი აქციების 30%, რომელსაც გააჩნია ხმის უფლებები საწარმო B-ს აქციონერების საერთო კრებაზე. 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, საწარმო B-მ აღიარა 400,000ფე-ის ოდენობის მოგება.

20X1 წლის 30 იანვარს, საწარმო B-მ გამოაცხადა და გადაიხადა 150,000ფე-ის ოდენობის დივიდენდები. 20X1 წლის 31 დეკემბერს საწარმო A აფასებს, რომ საწარმო B-ს ინვესტიციის რეალური ღირებულება 425,000ფე-ია. თუმცა, საწარმო B-ს კოტირებული ფასი არ ქვეყნდება.

**როგორ აისახება ინვესტიცია წილობრივი მეთოდის გამოყენებით?**

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

20

**მაგ 3(9).** (გაგრძელება)

**წილობრივი მეთოდი**

20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწარმო A-მ უნდა

აღიაროს/წარადგინოს:

მოგებაში ან ზარალში:

- შემოსავალი მეკავშირე საწარმოდან 120,000ფე-ის ოდენობით ( $30\% \times 400,000$ ფე საწარმო B-ს მოგება წლის განმავლობაში).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- თავისი ინვესტიციები საწარმო B-ში (მეკავშირე საწარმო) 375,000ფე-ად (300,000ფე თვითღირებულება + 120,000ფე შემოსავლების წილი - 45,000 დივიდენდი).
- ასევე უნდა განიხილოს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი ინვესტიციების გაუფასურების შესახებ და თუ არსებობს, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი 27-ე გაყოფილების მიხედვით.  
დავუშვათ გაყიდვის დანახარჯი ნულია, ასეთ შემთხვევაში არ იარსებებს გაუფასურების ზარალი, რადგან ინვესტიციის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება (425,000ფე) აღემატება საბალანსო ღირებულებას (375,000ფე).



# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

**მაგ 4(17).** 20X1 წლის 1 იანვარს საწარმო A-მ 100,000ფე-დ შეიძინა ჩვეულებრივი აქციების 25%, რომელსაც გააჩნია ხმის უფლებები საწარმო B-ს აქციონერების საერთო კრებაზე.

20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, საწარმო B-მ აღიარა 600,000ფე-ის ოდენობის ზარალი. საწარმო A-ს არ გააჩნია კონსტრუქციული ან იურიდიული მოვალეობა მეკავშირე საწარმოს წინაშე და არ განუხორციელებია გადახდები მის ნაცვლად.

საწარმო B-მ აღიარა 800,000ფე-ის ოდენობის მოგება 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

საწარმო B-ს კოტირებული ფასი არ ქვეყნდება.

**როგორ აისახება ინვესტიცია წილობრივი მეთოდის გამოყენებით?**

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

მაგ 4(17). (გაგრძელება)

20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწარმო A-მ უნდა აღიაროს/წარადგინოს:

მოგებაში ან ზარალში:

- მეკავშირე საწარმოდან 100,000ფე-ის ოდენობის ზარალი ( $25\% \times 600,000$ ფე საწარმო B-ს ზარალი წლის განმავლობაში = 150,000ფე. თუმცა, საწარმო ზღუდავს ზარალის აღიარებას მეკავშირე საწარმოში გახორციელებულ, 100,000ფე-ის ოდენობამდე).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- თავისი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (საწარმო B) 0ფე-ის ოდენობით (გამოთვლა: 100,000ფე თვითღირებულებას გამოკლებული 100,000ფე ზარალის წილი).

# მაგალითი - შეფასება - სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

მაგ 4(17). (გაგრძელება)

20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწარმო A-მ უნდა აღიაროს/წარადგინოს:

მოგებაში ან ზარალში:

- 150,000ფე, როგორც მეკავშირე საწარმოს შემოსავალში თავისი წილი ( $25\% \times 800,000$ ფე საწარმო B-ს მოგება წლის განმავლობაში = 200,000ფე მეკავშირე საწარმოს მოგების წილი. 200,000ფე მეკავშირე საწარმოში მოგების წილი - 50,000ფე 20X1 წლის აუღიარებელი ზარალი).

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- თავისი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში (საწარმო B) შეათასოს 150,000ფე-ის ოდენობით (100,000ფე თვითღირებულება - 100,000ფე 20X1 წელს აღიარებული ზარალის წილი + 150,000ფე 20X2 წელს აღიარებული მოგების წილი).

# ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

24

- მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციას ინვესტორმა უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაცია.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ინვესტიციების საბალანსო ღირებულება; და
- წილობრივი მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებისათვის:
  - რეალური ღირებულება, თუ არსებობს კოტირებული ფასები.
  - თავისი წილი მეკავშირე საწარმოების მოგებაში ან ზარალში და შეწყვეტილ ოპერაციებში.
- თვითღირებულების მოდელით აღრიცხული ინვესტიციებისათვის:
  - შემოსავლად აღიარებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები.
- რეალური ღირებულების მოდელით აღრიცხული ინვესტიციებისათვის:
  - ინფორმაცია 11.41–11.44 პუნქტების მიხედვით.
  - თუ იყენებს მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევით განპირობებულ გამონაკლის, უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი, მიზეზები და თვითღირებულების მოდელით აღრიცხული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებები.

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მსს ფასს-ით ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღრიცხება თვითღირებულების მოდელით, რეალური ღირებულების მოდელით ან წილობრივი მეთოდით. სრული ფასს-ით ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღრიცხება წილობრივი მეთოდით.
- განსხვავებები წილობრივ მეთოდში:
  - სრული ფასს ითხოვს რომ ფინანსური ანგარიშგების თარიღებს შორის სხვაობა 3 თვეზე მეტი არ იყოს. მსს ფასს-ში 3 თვიანი შეზღუდვა არ არსებობს.
  - თუ მნიშვნელოვანი გავლენა დაიკარგა ინვესტიციის ნაწილის გაყიდვის გარეშე, მსს ფასს ამ თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას მიიჩნევს ახალი ფინანსური აქტივის თვითღირებულებად (ე.ი. არ გადაფასდება). სრული ფასს ითხოვს შენარჩუნებული ინვესტიციის რეალურ ღირებულებამდე გადაფასებას.